



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000020538517417

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 48

22 / აგვისტო / 2017 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰეკს/ეპერი“-საგან სამხრეთ კავკასიის ოფისის პროექტის „მოლი კახეთში“ ფარგლებში გრანტის მიღებაზე წინასწარი თანხმობის მიცემის შესახებ

ახალი მუნიციპალური სერვისი „ქალთა ოთახი“ არის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ შექმნილი ღია სივრცე, საინფორმაციო-საკონსულტაციო რესურსცენტრი, რომლის მიზანია გაზარდოს ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ქალების როლი მუნიციპალიტეტის საქმიანობაში და უზრუნველყოს მათი მონაწილეობა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის პროცესში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტებისა და საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელს შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰეკს/ეპერი“-საგან სამხრეთ კავკასიის ოფისის პროექტის „მოლი კახეთში“ ფარგლებში ახმეტის მუნიციპალიტეტის სახელით მიიღოს გრანტი პროექტის მთლიანი ღირებულების (პროექტის სავარაუდო ღირებულებაა 24 521 ლარი) 54%-ს ოდენობით (ცამეტიათას ას ორმოცდათი 13150 ლარი), მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით დააფინანსოს პროექტის ღირებულების 46% (თერთმეტიათას სამას სამოცდათერთმეტი 11371 ლარი) და გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება;

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 07 აგვისტოს #45 განკარგულება.

3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, აღმაშენებლის ქ.№41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ
თავმჯდომარე



თამარ ყვინიშვილი